შეთანხმება №1

საგრანტო ხელშეკრულებაზე - N 081/A13/SR-II

ქ. თბილისი

27 დეკემბერი, 2013 წ

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „გლობალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (შემდგომში „გრანტის გამცემი“), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, აკაკი ლოჩოშვილის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ "ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი" (შემდგომში "გრანტის მიმღები" („სუბრეციპიენტი“)), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ლაშა ზაალიშვილის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

მხარეებს შორის 2013 წლის 23 აგვისტოს გაფორმებულ N 081/A13/SR-II საგრანტო ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა. ხელშეკრულების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ა(ა)იპ "გლობალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი"-ს („გლობალური ფონდის" გრანტების ძირითად მიმღები) და გლობალურ ფონდს შორის ხელმოწერილი GEO-H-GPIC გრანტის ე.წ „პროგრამის განხორციელების წერილი №5 (Implementation Letter № 5)“ შესაბამისად გრანტის მიმღებთან („სუბრეციპიენტთან“) გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2013 წლის 01 ივლისიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო GEO-H-GPIC გრანტის ე.წ „პროგრამის განხორციელების წერილი №6 (Implementation Letter № 6)“ შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება 2014 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

ბ. „ხელშეკრულების ღირებულება“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გრანტის გამცემი გრანტის მიმღებს პროექტის განსახორციელებლად გრანტის სახით გამოუყოფს „გლობალურ ფონდთან“ შეთანხმებული ბიუჯეტით განსაზღვრულ ფინანსურ სახსრებს, რომლის მოცულობა შეადგენს 01.07.2013 – 31.12.2013 პერიოდზე **1,038,867.40 (მილიონ ოცდათვრამეტიათასრვაასსამოცდაშვიდი ლარი და 40 თეთრი)** ლარს და 01.01.2014 – 31.03.2014 პერიოდზე **824,257.05 (რვაასოცდაოთხიათასორასორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 05 თეთრი)** ლარს (შემდგომში „გრანტის ღირებულება“).

გ. ხელშეკრულების პირობების 1-ლი პუნქტის 1.1.4 ქვეპუნქტი და მე-7 პუნქტის 7.1. და 7.2 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1.4 წარმოადგინოს გლობალურ ფონდთან შეთანხმებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად მომსახურების გასაწევად შესაძენი აქტივების ჩამონათვალი, მათი ზუსტი ტექნიკური მახასიათებლების გაწერით 01.07.2013 – 31.12.2013 პერიოდზე დანართი № 5 და 01.01.2014 – 31.03.2014 პერიოდზე დანართი № 5.1.“

„7.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 01.07.2013 – 31.12.2013 პერიოდზე **1,038,867.40 (მილიონ ოცდათვრამეტიათასრვაასსამოცდაშვიდი ლარი და 40 თეთრი)** ლარს და 01.01.2014 – 31.03.2014 პერიოდზე **824,257.05 (რვაასოცდაოთხიათასორასორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 05 თეთრი)** ლარს, რომელთა პარამეტრები წარმოდგენილია დანართი №6-ში და დანართი №6.1.

„7.2. გრანტის მიმღები, პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებისას გამოიყენებს დანართ №4 -ში ჩამოთვლილ გრანტის გამცემის საკუთრებაში არსებულ აქტივებს. ამასთან, გრანტის გამცემი გრანტის მიმღებს დამატებით უზრუნველყოფს მომსახურების გასაწევად აუცილებელი აქტივებით (დანართი№5, დანართი №5.1), საერთო ზღვრული ღირებულებით **819,118.84 (რვაასცხრამეტიათასასთვრამეტი ლარი და 84 თეთრი) ლარი.** თუ შესყიდვის პროცესში გრანტის მიმღების მიერ პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი აქტივების ღირებულება აღემატება ზემოაღნიშნულ ზღვრულ თანხას, გრანტის გამცემი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთან შეთანხმებით შეიტანოს კორექტირება შესასყიდი აქტივების ჩამონათვალში, რომელიც აღწერილია დანართი #5-ში. ამ შემთხვევაში განხორციელებული კორექტირება არ ჩაითვლება გრანტის მიმღების მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების არშესრულების, ან არასრული მოცულობით შესრულების საფუძვლად;“

დ. „ხელშეკრულების დანართები“ შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ხელშეკრულებაზე თანდართულ დანართებს №5 (შესასყიდი აქტივები), №6 (პროექტის ბიუჯეტი), დანართი N7 გლობალური ფონდის გარნტი № GEO-H-GPIC მიხედვით შედგენილი პროექტი, დანართი N8 პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი, დანართი N9 პროგრამული შესრულების ჩარჩო (Performance Framework) დაემატოს დამატებითი, ამ შეთანხმებაზე თანდართული დანართები № 5.1, № 6.1, № 7.1, № 8.1, № 9.1 01 იანვარი - 31 მარტი 2014 პერიოდზე.

ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელი.

ეს შეთანხმება წარმოადგენს მხარეებს შორის 2013 წლის 23 აგვისტოს გაფორმებულ **N 081/A13/SR-II** საგრანტო ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს, შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება გრანტის მიმღებთან და ერთი ეგზემპლარი ინახება გრანტის გამცემთან.

„გრანტის გამცემი“

ა(ა)იპ „გლობალური პროექტების
განმახორციელებელი ცენტრი“

მისამართი:
ქ. თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის II ჩიხი,
კორპუსი 4/8

საბანკო რეკვიზიტები:
ს/კ - 404885291
სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ - BAGAGE22
ა/ა - GE57BG0000000894808100

აკაკი ლორჩოშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
ბ.ა.

“გრანტის მიმღები”

ა(ა)იპ "ზიანის შემცირების
საქართველოს ქსელი"

მისამართი:
იურიდიული: ქ. თბილისი, ნუცუბიძის 1 მ/რ,
კორპუსი 7, ბინა 28
ფაქტიური: ქ. თბილისი 0171, პეკინის ქ. 2. ბ.19

საბანკო რეკვიზიტები:
სს “საქართველოს ბანკი”
ბ/კ – BAGAGE22
ა/ა – GE19BG0000000270558300

ლაშა ფაღავა
აღმასრულებელი დირექტორი
ბ.ა.